დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

თაბუკა ციმინტია

ცოტნე ქორჩილავა

დავით გუდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი ,,ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☒ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა
1	აგრომექანიზაცია (მოდულური) ხობი	15	8	
2	აგრომექანიზაცია (ინტეგრირებული) ხობი	15	6	
3	ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება (მოდულური) ფოთი	30	22	2
4	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური) ფოთი	40	8	
5	ელექტროობა (მოდულური) ფოთი	26	11	
6	ელექტროობა (მოდულური) ხობი	26	23	
7	თევზის გადამუშავება (მოდულური) ფოთი	15	0	
8	თევზის გადამუშავება (ინტეგრირებული) ფოთი	15	8	
9	თმის მომსახურება (მოდულური) ფოთი	20	17	
10	თმის მომსახურება (მოდულური) ხობი	20	8	
11	ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური)	36	19	
12	კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური) ფოთი	20	8	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

13	კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული) ფოთი	20	17	
14	ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (მოდულური) ფოთი	15	0	
15	ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (ინტეგრირებილი) ფოთი	15	14	
16	მებაღეობა (მოდულური) ხობი	15	13	
17	მებაღეობა (ინტეგრირებული) ხობი	15	4	
18	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (მოდულური) ფოთი	12	0	
19	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება ხობი (მოდულური) ხობი	20	12	
20	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება ფოთი (მოდულური) ფოთი	18	12	
21	სამკერვალო წარმოება (მოდულური) ფოთი	40	17	
22	საოფისე საქმე (მოდულური) ფოთი	15	10	
23	სარესტორნო მომსახურება (მოდულური) ფოთი	10	9	
24	სარესტორნო მომსახურება (ინტეგრირებული) ფოთი	10	8	
25	სასტუმრო მომსახურება (მოდულური) ფოთი	15	0	
26	სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული) ფოთი	15	8	
27	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (მოდულური) ფოთი	15	0	
28	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (დუალური) ფოთი	15	13	1
29	საფინანსო სერვისები (მოდულური) ფოთი	15	13	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

30	სკოლამდელი აღზრდა (მოდულური) ფოთი	15	13	
31	ფერმერი მემცენარე (მოდულური) ხობი	20	12	
32	ფერმერი მემცენარე (ინტეგრირებული) ხობი	20	19	
33	ფერმერობა მეთევზეობაში (მოდულური) ფოთი	15	0	
34	ფერმერობა მეთევზეობაში (მოდულური) ხობი	15	10	
35	ფლორისტიკა (მოდულური) ფოთი	30	8	
36	შედუღება ფოთი	30	21	
37	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები ფოთი	30	30	
38	ხის მხატვრული დამუშავება ფოთი	15	15	
	სულ	**748**	**416**	**3**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

ა.წ. 29-31 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი „სსიპ კოლეჯში "ფაზისი" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 მარტის N318238 ბრძანების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ინფორმაციის ტექნოლოგია" და " ელექტროობა" 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი.

2023 წლის 29 და 30 მარტს ქ.ფოთში, კონსტიტუციის ქ. N54 -ში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ ინსტიტუციური სტანდარტების შეფასება დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები.

2023 წლის 30 მარტს დარგის ექსპერტის მიერ ქ. ფოთში გადამოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა, 31 მარტს კი ავტორიზაციის ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნოჯიხევში, ამავე დღეს, ხობის მუნიციპალიტეტში დარგის ექსპერტმა გადაამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა"ელექტროობაც". ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში განლაგებული ფილიალის მართვა ხდება ცენტრალიზებულად ქ. ფოთიდან, ადგილზე კი მუშაობენ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი და დარაჯები.

დარგის და განათლების ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში ქ. ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს,პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, შეიმუშავეს რეკომენდაციები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, 2023 წლის 31 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია		შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება		მეტწილად შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა		შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები		შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		მეტწილად შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება		მეტწილად შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		მეტწილად შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, სტრატეგიულ გეგმაში არ არის მოცემული შესრულების ინდიკატორები, რაც დაწესებულებამ წინასწარ უნდა განსაზღვროს და გაწეროს. აშნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვა.

1.2.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულება სათანადოდ არ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

4.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულებას თანამშრომლებთა პირად საქმეში არ აქვს სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შესახებ ცნობა წარმოდგენილი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კოლეჯის თანამშრომელთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ" ცნობების წარმოდგენა.

4.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულებაში არ ხორციელდება პერსონალის განვითარება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კვლევების ჩატარება, ჩატარებული კვლევის შედეგების შეფასება, მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის გაწერა და ამ გეგმით პერსონალის განვითარება.

5.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან კოლეჯს არ აქვს უზრუნველყოფილი დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შპს "ნეოტეკის" მიერ, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობითი სამუშაოებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სსიპ კოლეჯის „ფაზისი" (ფოთისა და ხობის ლოკაციებისათვის) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

პროგრამული სტანდარტები

2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა (ვერიფიკაცია) არაა სრულყოფილად და ნათლად გაწერილი და მისი შემსრულების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება: შეფასების სისტემის (ვერიფიკაციის) გადახედვა, ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის განსაზაღვრა, ვერიფიკაციის პროცედურების, რისკებისა და ფორმების შემუშავება, ვერიფიკაციის წლიური გეგმის შემუშავება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირთა განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით.

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინსტიტუციური სტანდარტები:

1.2.1.2.

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების ფარგლებში გაწეული სამუშაო შეხვედრების, აქტივობების და უკუკავშირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მტკიცებულებების სახით დაარქივება;

1.2.1.3.

სასურველია სამოქმედო გეგმაში მეტად დაკონკრეტდეს საჭირო რესურსები და მათი წყაროები, ასევე სასურველია თითოეული ამოცანისთვის გაიწეროს შესრულების კრიტერიუმებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია, კოლეჯის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისთვის და მისი განვითარების დინამიკის მარტივი აღქმისთვის ვებგვერდზე განთავსებული იყოს წინა წლების სამოქმედო გეგმებიც და მათი შესრულების ანგარიშები;

3.1.1.1.

სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში გაწეროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები;

3.2.1.5.

სასურველია დაწესებულებამ განავითაროს პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარები და ფოკუსირება მოახდინოს პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაზე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის .

4.1.1.1.

სასურველია დაწესებულებამ ნათლად გამიჯნოს სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის პოზიციისთვის დაამატოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობების აღწერა;

4.2.1.1

სასურველია დაწესებულებამ დახვეწოს და განავითაროს კვლევის კითხვარები და ისინი თითოეული შესაფასებელი პოზიციისთვის რელევანტური საჭიროებების გამოვლენას მოარგოს.

4.2.1.5.

სასურველია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და განხორციელების პროცედურები.

5.1.2.4.

სასურველია, დაწესებულებამ შესაბამის საშტატო ერთეულზე ან ერთეულებზე განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო კამერებზე პასუხისმგებელი პირები როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ ნაწილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. "სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მისიაა ,,პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით, მთელი სიცოცხლის მანძილზე პირის პროფესიული და პიროვნული განვითარებით, წვლილის შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში“. აქედან გამომდინარე, სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მისია თავსებადია პროფესიული განათლების მიზნებთან და **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**
2. დაწესებულების მისიით გაცხადებულია მისი მრავალპროფილურობა, ორიენტირებულობა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებაზე პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებითა და თავსებადობით. ანუ, მისიაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ დაწესებულება პროფესიული განათლების პროვაიდერია და მიმართულია ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლისკენ. **ექსპერტთა შეფასებით, სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და დაწესებულების მისია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების ხედვა გამომდინარეა მისიიდან, კერძოდ, ,,იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც რეგიონში, ისე ქვეყანაში, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებით, სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, საჯარო/კერძო/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით“დაწესებულების ღირებულებებში კი წარმოჩენილია მათი ძირითადი პრინციპები: პროფესიონალიზმი; ორიენტაცია შედეგზე; უწყვეტი სწავლების ხელშეწყობა; სოციალური ინკლუზია; გუნდური მუშაობა; გამჭვირვალობა; სწრაფვა ინოვაციისკენ, რაც **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მისიიდანაა გამომდინარე და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე, განთავსებულია კოლეჯის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება, ვიზუალური დათვალიერება და დაწესებულების მიერ წარმოადგენილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ანგარიშები და ფოტომასალა, რითაც დასტურდება დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.
ექსპერტთა შეფასებით, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ კოლეჯ ,,ფაზისის“ ვებგვერდი http://phazisi.edu.ge ;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯ ,,ფაზისში“ შემუშავებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია“. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. კერძოდ, სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები; სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება და გაზიარება.

   კერძოდ, მათში აღწერილია დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის სრუქტურა, სამომავლო პერსპექტივები და ძირითადი ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, SWOT ანალიზის ან დაგეგმვის სხვა ტიპის სტრატეგიის მეთოდოლოგიის ანალიზის შედეგები; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული გავითარების გეგმა შემუშავებულია მოცემული მეთოდოლოგიის მიხედვით. მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრულია მონიტორინგის პერიოდულობა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება წელიწადში ერთხელ, ასევე წელიწადში ერთხელ ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგიც. მეთოდოლოგიით ასევეა განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შემუშავების, გაზიარების, მასში ცვლილებების შეტანის და მონიტორინგის პროცედურები. ავტორიზაციის **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები და ნათქვამია, რომ კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ,,თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რაც ნიშნავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება კოლეჯის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით“, რომლისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველ ეტაპზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ციკლის (7 წლიანი) სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას, სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადებასა და საჯაროობას. ამ მუხლში ასევე გაწერილია დაინტერესებული მხარეების მოლოდინის გათვალისწინება, რომლის ფარგლებში კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეებს, შეისწავლის მათ მოლოდინს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმეტების მათთვის გაზიარებას. კოლეჯი ამავე დოკუმენტით აცხადებს, რომ მათთვის ღირებულია ქვეყნის/რეგიონის/თემის ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინება. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს ფარგლებშიც დადასტურდა, რომ ისინი რეალურად თანამშრომლობენ დაინტერესებულ მხარეებთან, თუმცა, შესაბამისი მტკიცებულებები არ აქვთ სისტემატიზებული. **ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების ფარგლებში გაწეული სამუშაო შეხვედრების, აქტივობების და უკუკავშირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მტკიცებულებების სახით დაარქივება. საერთო ჯამში კი, ექსპერტთა მოსაზრებით კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

3. კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული გავითარების გეგმა მოიცავს ხუთ სტრატეგიულ მიზანს: 1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება. 2. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება; 3. სტუდენტური სერვისების განვითარება; 4. ადამიანური რესურსის განვითარება, 5. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება. სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები ეხმიანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისიას, დაწესებულება განსაზღვრავს ამ მიზნების შესაბამის რელევანტურ ამოცანებს, განხორციელების ვადებს. საერთო ჯამში, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა ნათლადაა ჩამოყალიბებული, იძლევა კოლეჯის სტრატეგიული ხედვის დანახვის შესაძლებლობას, **თუმცა, სტრატეგიულ გეგმაში არაა მოცემული შესრულების ინდიკატორები, რაც დაწესებულებამ უნდა წინასწარ განსაზღვროს და გაწეროს;**

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, მასში გაწერილია ის აქტივობები, რითაც უნდა მოხდეს კონკრეტული მიზნის მისაღწევის ამოცანების შესრულება, თუმცა არაა ნათლად განსაზღვრული ინფორმაცია ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭირო რესურსების შესახებ. **ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სამოქმედო გეგმაში მეტად დაკონკრეტდეს საჭირო რესურსები და მათი წყაროები, ასევე სასურველია თითოეული ამოცანისთვის გაიწეროს შესრულების კრიტერიუმებიც, ასევე, სასურველია, კოლეჯის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისთვის და მისი განვითარების დინამიკის მარტივი აღქმისთვის ვებგვერდზე განთავსებული იყოს წინა წლების სამოქმედო გეგმებიც და მათი შესრულების ანგარიშები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, 1.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დასკვნის პროექტში შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან სტრატეგიულ გეგმაში არ არის მოცემული შესრულების ინდიკატორები, რაც დაწესებულებამ წინასწარ უნდა განსაზღვროს და გაწეროს. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კოლეჯ ,,ფაზისის“ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის ,,ფაზისი“ 2020-2026 წლების სტრატეგიული გავითარების გეგმა;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ 2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ შესაბამისობის გეგმა.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში ,,ფაზისი“ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-11 მუხლში დაწვრილებით არის გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების წესი, ხოლო მე-4 მუხლში კი მასში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, **თუმცა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული წესის მიხედვით განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, მათ შორის მასში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის თაობაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით** 1.2.2.1 **დასკვნის პროექტში ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესასრულებლად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**
   ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
2. **1.2.2.1 ინდიკატორის აღწერიდან გამომდინარე 1.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დასკვნის პროექტში შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება სათანადოდ არ რეაგირებს შეფასების შედეგებზე; აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, ანგარიშების მომზადება და შეფასება, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები ატვირთულია კოლეჯის ვებგვერდზე https://www.phazisi.edu.ge და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. **ექსპერტთა შეფასებით, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;“;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ 2020-2026 წლების სტრატეგიული გავითარების გეგმა;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ შესაბამისობის გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

   სსიპ კოლეჯი ფაზისის დირექტორის მიერ დამტკიცებულია დოკუმენტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შემუშავებასთან, სწავლის შედეგების დადასტურებასა და კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით, რომელიც ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველ დღე გარდა შაბათისა და კვირისა (არსებობს გამონაკლისი შემთხვევები), ორ ცვლაში. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონით ,,შრომის კოდექსით'' გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში. პროფესიული სტუდენტის ლექციიდან/პრაქტიკული მეცადინეობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება ენიჭება დირექტორის მოადგილეს, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი წერს განცხადებას დირექტორის მოადგილის სახელზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს პროფესიული სტუდენტისგან დროებით (5 წელი) სწავლის შეჩერებას, ხოლო სტატუსის აღდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, რისთვისაც პროფესიულმა სტუდენტმა კოლეჯს განცხადებით უნდა მიმართოს. სტატუსშეჩერებული პირი სწავლას გააგრძელებს იმ ეტაპიდან საიდანაც სტატუსი შეუჩერდა.

კოლეჯის რეგულაციები ასევე მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მექანიზმებს. სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, პირადი განცხადება და სხვა გარემოებები. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს როგორც შიდა, ისე გარე მობილობით. მობილობის უფლება აქვს როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე სტატუსშეჩერებულ პირს. რეგულაციაში აღწერილია ყველა ის გარემოება, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის მიერ ამ უფლებით სარგებლობა, ან ამ უფლებათა შეზღუდვა. კოლეჯის მიერ გაწერილი მობილობის პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლება, რაც პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას გულისხმობს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მათ შიდა ან გარე მობილობას. კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები, რეგულაციაში იკითხება ჩანაწერი მოდულის სხვა მოდულთან წინაპირობის შემთხვევაში, როგორ ახდენს დაწესებულება სტუდენტის ინფორიმირებას, ამასთანავე განსაზღვრული აქვს გონივრული ვადა.

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტის ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რომლის მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა. ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები მოიცავს აღიარების პირობებს, პროცესს, ეტაპებსა და ვადებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის თანახმად, ყველა რეგისტრირებულ სტუდენტსა თუ პერსონალს შეუძლია წიგნის ან საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება. დაწესებულებაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, რომელიც არეგულირებს კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის მექანიზმებს. კოლეჯის მატერიალური რესურსების მენეჯერი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას პროფესიულ სტუდენტებს სწავლების ეფექტურად და წარმატებით განხორციელებისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ ასევე კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, დაწესებულების ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით. დაწესებულების შიდა მარეგულირებული აქტებით არ არის განსაზღვრული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა რეგულაციაში არ არის ასახული საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პირობები.**

2. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში შეხვდა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მათ უფლებებსა და ინტერესების დაცვის მექანიზმებს. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტუდენტებისათვის მათ უფლებებსა და ინტერესის დაცვაზე შეხვედრები ხორციელდება; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ახორციელებს სტუდენტების ინფორმირებას უფლება-მოვალეობისა და სერვისების შესახებ, ამასთან ახორციელებს კმაყოფილების კვლევას და ახდენს მათი სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებას, რიგ შემთხვევებში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებული იყო ცალკეული მაგალითებიც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა“ თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს გამოკითხვას, პრაქტიკული დავალებას დაკვირვებით (პროცესზე დაკვირვება), პრაქტიკული დავალებას (პროდუქტს, როგორც მტკიცებულებას). რეგულაციაში ასახულია ინფორმაცია საპატიო გაცდენის შემთხვევაში განმეორებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ, რომელსაც ნიშნავს სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანეთან და მოდულის განმახორციელებელთან შეთანხმებით 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმებსაც. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება ან/და პროცედურული საკითხები და წერილობით მიმართოს სააპელაციო განაცხადით დაწესებულების დირექტორს; კოლეჯის დირექტორი იმავე ან მომდევნო დღეს შემდგომი რეაგირებისათვის მიმართავს პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც საჩივრიდან 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს, თუმცა თუ მოდულს მხოლოდ ერთი მასწავლებელი ჰყავს, მაშინ დირექტორი შემდგომი რეაგირებისათვის მიმართავს დარგის სხვა მასწავლებელს და შედეგების არგუმენირებული დასაბუთება სტუდენტისათვის 3 სამუშაო დღეში გახდება ცნობილი. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, არ განიხილება. ექსპერთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება შიდა რეგულაციებში გაწერილი მექანიზმების შესაბამისად ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების პროცედურებსა და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ისინი იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მიდგომებსა და პროცედურებს, ინფორმირებულნი არიან შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების თაობაზე, თუმცა მათი თქმით, ამ უფლებით სარგებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებლობა არ დამდგარა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

4. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულირდება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: კოლეჯი ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, რაც ამასთანავე კოლეჯის მხრიდან სტუდენტისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. კოლეჯი ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტის შეფასებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული მექნიზმები. სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ასევე სტუდენტი ადასტურებს, რომ კოლეჯს აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დავის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კოლეჯში განსაზღვრულია არასრულწლოვანთან და შშმ/ სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან თანამშრომლობის საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე მათ შორის გადამოწმდა სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს. კოლეჯს ჰყავდა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა პირად საქმეებში განთავსებული იყო მშობლების პირადობის მოწმობები და დაბადების მოწმობების ასლები. არასრულწლოვან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულებები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებებსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

5. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მექანიზმს, რომლის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლოა შედგეს სსსმ პირისთვის, მობილობის წესით გადმოსვლისას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზებულ პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანისას. გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულებაში ჰყავთ სსსმ/შშმ სტუდენტი; შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტები, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ „შინაგანაწესი“;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მატერიალური რესურსების გამოყენების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მექანიზმის „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა“ თანახმად, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია კონსულტირების სერვისების მიღება როგორც მასწავლებლისაგან, ასევე ადმინისტრაციისაგან; დაწესებულება სისტემატურად ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესთან და ისეთ კომპონენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურებისა და განმეორებითი შეფასების თარიღები. ზემოთხსენებული დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. კოლეჯის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრისას, დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას აქტიურად ახდენს სხვადასხვა საკითხებთან, მათ შორის აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში. კონსულტირებაში ჩართული არიან ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან, ვაკანსიების მოძიებასთან, CV-ისა და სამოტივაციო წერილის შედგენასთან დაკავშირებით კონსულტირებისთვის შეუძლიათ მიმართონ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ასევე, დაწესებულება ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რომელიც ეხმარება უკეთ გამოავლინოს სტუდენტების საჭიროებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიურებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრებს აორგანიზებს როგორც ახლადჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე უკვე მოქმედ და წინა პერიოდში ჩარიცხულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან. პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოში ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები აცნობენ სტუდენტებს შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, უსაფრთხოების ნორმებს, როგორც კოლეჯში არსებული სასწავლო გარემოსათვის, ისე პრაქტიკის ობიექტზე. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენება და მათი ეფექტიანობა დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა და შეხვედრების ამსახველი სხვა დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. დაწესებულების დებულებებში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებული მომსახურებებისა და პროცედურების (სარეგისტრაციო, მობილობის, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გასაჩივრების და ა.შ.) ვადები. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს სტუდენტის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიულ სტუდენტებსა და კურდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში საკმაოდ ღია და თბილი გარემოა. კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მიერ დადასტურდა, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**

4. კოლეჯში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა დაა სასწავლო გარემოს განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეწყობა. დაწესებულების ბიუჯეტში სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად არის გათვალისწინებული გარკვეული თანხა. სტუდენტებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მსგავსი ინიციატივებით სტუდენტებს მიუმართავთ (მაგ; ექსკურსიები/სასწავლო ექსკურსიები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ასე შემდეგ). გასაუბრებისას დადგინდა, რომ კოლეჯში მუშაობს ე.წ. ჯგუფხელის სისტემა, სადაც სტუდენტური ინიციატივების ფორმირება და შესაბამისი სამსახურებისათვის მხარდასაჭერად წარდგენა ხდება. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.4 სრულადაა დაკმაყოფილებული .**

5. დაწესებულებაში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა. მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივ განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული შიდა და გარე მხარის ჩართულობას (პროფესიული სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ), თუმცა კმაყოფილების კვლევა საჭიროებს გადახედვას , რათა მოხდეს აშკარა გამოწვევის დადგენა და ანალიზის საფუძველზე რეალური მიზნების დასახვა მათ გამოსასწორებლად. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს კმაყოფილების კვლევას კოლეჯის სერვისებთან დაკავშირებით, მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები საჭიროებდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადახედვას და განვითარებას; დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განავითარონ კმაყოფილების კვლევის კითხვარები და ფოკუსირება მოახდინონ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებაზე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. ამასთანავე, **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია,** პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ „შინაგანაწესი“;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულებაში მოქმედ დებულებებში გათვალისწინებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რომლის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. პროფორიენტაციის ფარგლებში სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ღებულობენ კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას, რაც დასტურდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების, როგორიცაა ღია კარის დღე, ფორუმი, გამოფენა და სხვა ამსახველი ფოტომასალით.
ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული, რადგანაც კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია.
2. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. ბაზების შექმნაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი. კოლეჯის წარმომადგენლები აორგანიზებენ შეხვედრებს, ღია კარის დღეებს, ახდენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას. კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილია facebook ჯგუფი, სადაც რეგულარულად იდება ვაკანსიები და სიახლეები დასაქმებასთან დაკავშირებით. ვაკანსიები ქვეყნდება, ასევე კოლეჯის Facebook გვერდზეც და თავსდება თვალსაჩინო ადგილას, განცხადებების დაფაზეც. კარიერული განვითარების მიზნით, კოლეჯი, ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა კურსების, კონფერენციების პროფესიული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის. აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**
3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის, სასწავლო პროცესის, სერვისებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ტარდება პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათ შორის პროფესიით დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.
4. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია კარიერული მომსახურეობის კვლევა. ამ მიზნის განსახორციელებლად, კოლეჯი რეგულარულად ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას. ატარებს სტუდენტების, თანამშრომლებისა და დამსაქმებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკითხვას. აღნიშნული გზით კოლეჯი იცნობს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, იღებს უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, საჭიროების შემთხვევში გადის პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია შემუშავებულია და იქმნება კურდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკა. კოლეჯში არის სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ბაზები, რომელსაც მართავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრებისას დადგინდა რომ ჰქონდა უკუკავშირი დამსაქმებლებისგან და მიღებული უკუკავშირი გამოიყენა სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის (მაგ; მან მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ერთერთ დამსაქმებელს არ აკმაყოფილებდა კურსდამთავრებულთა უცხოური ენის დონე, რომელიც გახდა საფუძველი სასწავლო პროცესში ეს და სხვა საკითხები გაუმჯობესებულიყო). კვლევის საფუძველზე დაწესებულება ახდენს მყისიერ რეაგირებას და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც დეტალურადაა აღწერილი დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებული თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებულია მათივე ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პოზიციის ფუნქცია მოვალეობები. აღნიშნულის გაცნობა ევალება კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.

   თითოეული პოზიციისთვის ფუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია, თუმცა საჭიროებს გადახედვას და გაუმჯობესებას (მაგ. სასწავლო პროცესის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, ვინაიდან ფუნქცია-მოვალეობებში ორივე თანამდებობრივ ერთეულს უწერია სიტყვა კოორდინაცია, თუმცა გასაუბრებით ინტერსთა კონფლიქტი არ გამოვლენილა და მათი მოვალეობები გამიჯნულია. ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენჯერის ფუნქცია-მოვალეობები არ არის გაწერილი, თუმცა „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის სხვადასხვა პუნქტებში იკითხება მისი მოვალეობები, ამასთან, მასთან ინტერვიუც ადასტურებს, რომ იგი კარგადაა გარკვეული საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებში).

   დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია ნათლად გამიჯნოს სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის პოზიციისთვის დაამატოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობების აღწერა;

   დაწესებულების მიერ შემუშავებული სამუშაო აღწერილობები შესაბამისობაშია დაწესებულების სტრუქტურასთან და სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს შემუშავებული აქვს სტრუქტურა და დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ ISO 9001:2015– ის მიხედვით PD-01, რომლის იერარქია და ფუნქცია-მოვალეობების აღწერითი ნაწილი და სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის შესრულებას; ყველა თანამდებობრივი ერთეულისათვის ნათლად არის გამიჯნული თუ რა როლი აკისრიათ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში. ექსპერტთა შეფასებით **ინდიკატორი 4.1.1.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის უფლება-მოვალეობები და ფუნქციები გვხვდება დოკუმენტებში: „სრტუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ და „შინაგანაწესი“. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია მოვალეობები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და იძლევა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სისტემურად შეფასების შესაძლებლობას. ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერს ხობის ლოკაციაზე დაქვემდებარებული ჰყავს ხარისხის უზურნველყოფის სპეციალისტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები არ ფარავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს.
   აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი ფაზისი „სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- „შინაგანაწესი“
- სამუშაო აღწერილობის თანამშრომელთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- პსდ-ს სტრუქტურა;
- „სტრატეგიული გეგმა 2020-2026“
- „სამოქმედო გეგმა 2023“ ;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესის დოკუმენტი, სადაც გაწერილია სამუშაოზე მიღების - დასაქმების მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. ასევე, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და წახალისებისა წესს. შინაგანაწესით დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების მექანიზმები. ასევე მოიცავ ახალი პერსონალის სამუშაო გარემოში ინტეგრაციისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს.

   „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის“ თანახმად საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი ხელშეკრულების გაფორმებამდე პასუხისმგებელია გააცნოს კანდიდატს შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის დებულება, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობა, რომელზეც ის უნდა დასაქმდეს.
   თანამშრომელთა პირადი საქმის გადამოწმებისას არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შესახებ, რაც არღვევს სტანდარტს და საკანონმდებლო მოთხოვნებს. **დასკვნის პროექტში დაფიქსირდა ხარვეზი: ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.2.1 ის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებას თანამშრომლებთა პირად საქმეში არ აქვს სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შესახებ ცნობა წარმოდგენილი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კოლეჯის თანამშრომელთა სქესობირივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ" ცნობების წარმოდგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. პერსონლის სამუშაოზე მიღების წესი განსაზღვრული აქვს შინაგანაწესში და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“-ში, რომლის მიხედვითაც პერსონალის მოზიდვა ხდება სხვადასხვა გზით: 1. შიდა კადრების როტაცია; 2. შიდა ან გარე რეკომენდატორების საშუალებით; 3. სხვადასხვა პლატფორმაზე ვაკანსიის განაცხადის გამოქვეყნებით.

დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა, კორექტულობა.

კანდიდატის შერჩევა ძირითადად ხდება გასაუბრების და კონკურსის საფუძველზე. „სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღწერის“ მიხედვით გასაუბრებას ფასილიტაციას უწევს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. პროცესში მონაწილეობა ღებულობს დირექტორი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მენეჯერი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანდიდატის შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ.

მექანიზმებში გაწერილი პროცედურების ნათლად დასანახად ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროცესის ამსახველი მტკიცებულებები: ჩატარებული კონკურსის პირობები, ჯგუფის შემადგენლობა, შერჩევის დოკუმენტაცია (ქულები ან კენჭისრის აღრიცხვა), კითხვარები, გასაუბრების შედეგები და სხვა, რომელიც ადასტურებს აქამდე განხორციელებული პროცედურებების ობიექტურობასა და გამჭირვალობას. **ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლის შემადგენლობა შესაბამისობაშია შინაგანაწესითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები CV, დიპლომი, სერთიფიკატი და სხვა აკმაყოფილებს „სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ აღწერილობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები უზრუნველყოფილია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. „ადამიანური რესურსების მართვის დებულების“ დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპია გუნდურობა და პარტნიორობა.

   გასაუბრებითა და მტკიცებულებების წარმოდგენით დასტურდება, რომ კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები და პროფესიული მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული გუნდურ სამუშაოებში და თანამონაწილეობით ქმნიან მნიშვნელოვან დოკუმენტებს. მაგალითად, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები შემუშავებულია პერსონალის თანამონაწილეობით, ასევე თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად მოხდა შიდარეგულაციების გადახედვა, შემუშავება (გადამოწმდა ოქმები მტკიცებულების სახით).

   ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ „შინაგანაწესი“;
- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
- სსიპ კოლეჯის ფაზისი „სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია“ ;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ შესაბამისობის გეგმა;
- პერსონალთან ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასება, რომლის მიზანია, პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარება, აგრეთვე კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის /სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

   პერსონალის შეფასება ხდება წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ესენია: ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარი; კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარი; დამსაქმებლების მიერ შევსებული კითხვარი. დაწესებულება იყენებს შეფასების ორი სისტემას: რაოდენობრივს და ხარისხობრივს. შეფასების პროცესს ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომლებიც საბოლოო შედეგების ანალიზსს წარუდგენენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

   პროფესიული მასწავლებლების შეფასება ასევე ხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით მოდულის დასრულებამდე მინიმუმ ერთხელ. გაკვეთილის პროცესს ესწრება სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც საბოლოო ანგარიშს და შეფასებას წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. პერსონალის შეფასება შესაძლოა მოხდეს დირექტორის მიერაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა პროცესის განხორციელების მტკიცებულებები: შევსებული კითხვარები, შეფასების შედეგები, ანგარიშები, გაკვეთილზე დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია და სხვა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა, ჩატარებული კვლევის შედეგები, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია კვლევის კითხვარების განვითარება და თითოეული შესაფასებელი პირისათვის რელევანტურ საჭიროებებზე მორგება, რომლის შესახებაც დაწესებულებას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია: კვლევის კითხვარები განავითაროს და თითოეული შესაფასებელი პირისათვის რელევანტურ საჭიროებაზე მოარგოს. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**

2. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის საქმიანობის კვლევისა და შეფასების დოკუმენტაცია, ხარისხის უზურნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს არ აღმოაჩნდა ამ კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაწერილი პერსონალის განვითარების გეგმა.

   ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული საკითხის განხილვისას დაწესებულებამ წარმოადგინა ფინანსური მენეჯერის მიერ კურსის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების „ფასს)“ გავლის სერთიფიკატი, ამასთანავე, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგი, თუმცა, მათი საჭიროების საფუძველი - გეგმა ან/და დაფინანსების წყარო მტკიცებულების მიხედვით უცნობია, **შესაბამისად ვერ დასტურდება პერსონალის განვითარება ხორციელდება თუ არა პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექპერტთა მიერ დასკვნის პროექტში დადგინდა, რომ ინდიკატორის 4.2.1.2 მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულებაში არ ხორციელდება პერსონალის განვითარება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება კვლევების ჩატარება, ჩატარებული კვლევის შედეგების შეფასება, მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმის გაწერა და ამ გეგმით პერსონალის განვითარება.**
   ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში სწავლების მიმართულებით პროფესიულ მასწავლებელთა განვითარების აქტივობების მტკიცებულებები წარმოადგინა. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს მათ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებას, ახორციელებს საჭიროების კვლევას. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

4. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი, შესაბამისი სტრუქტურული ეთეულის მენეჯერი, (ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე), პროფესიული მასწავლებლები. პროცესის შედეგად ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და კოლეგებთან, ვებ-გვერდის გაცნობა, კოლეჯის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში ჩართვა, მარეგულირებელ დოკუმენტების გაცნობა.
   ადმინისტრაციულ პერსონალთან, თანამშრომლებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრირება და სამუშაო პროცესში ჩართვა წარმატებით ხორციელდება.
   ექსპერტთა შეფასებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**
5. დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტებსა და მექანიზმებში გაწერილი არა აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და დაკმაყოფილების პროცედურები.
   გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ პერსონალს აქვს ინფორმაცია ინიციატივების დაფიქსირებასთან დკავშირებით; ამასთანავე ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და აქვთ მზაობა, რაც სხვადასხვა მტკიცებულებებითა თუ ფოტო მასალით დასტურდება, **თუმცა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაწეროს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და განხორციელების პროცედურები.**
   ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ადამიანური რესურსები მართვის პოლიტიკა“
- ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი;
- ფოტო მასალა;
- სოციალური ჯგუფები;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ შესაბამისობის გეგმა;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი "ფაზისი" უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.
   კოლეჯის მფლობელობაშია ქ. ფოთში, კონსტიტუციის ქ. N54-ში 14458.00 მ^2 ფართობზე განლაგებული 2 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 2559.35 მ^2, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (04.02.02.316) და ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნოჯიხევში 125159.00 მ^2 ფართობზე განლაგებული 7 შენობა-ნაგებობა, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (45.07.25.093).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზები და ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა. დაწესებულების დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ფოთის და ხობის მისამართებზე ფართები სრულად არის ათვისებული სასწავლო მიზნებისთვის შემდეგი განაწილებით:

სივრცე/ფართი დანიშნულების მიხედვით	ნუმერაცია შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით	შენიშვნა
სასწავლო ოთახი A გარემო	103,104,112,205,207,210,209,208,302,303,304,306,307,308,310,311,312	ფოთი,კონსტიტუციის 54
სასწავლო ოთახი B გარემო	201,212,211,304,307	ფოთი,კონსტიტუციის 54
სასწავლო ოთახი C გარემო	103,104,112,205,208,302,306,310,309	ფოთი,კონსტიტუციის 54
ადმინისტრაციული სივრცე	101, 102,105,106,202,203,204,206,305	ფოთი,კონსტიტუციის 54
მედდა	2 სართული	ფოთი,კონსტიტუციის 54
სველი წერტილი	1 სართ-2, 2 სართ-2, 3 სართ-2,	ფოთი,კონსტიტუციის 54
ადაპტირებული სველი წერტილი	1 სართ-1, 2 სართ-1, 3 სართ-1,	ფოთი,კონსტიტუციის 54
სტუდენტების დასასვენებელი სივრცე	1 სართ-2 სართ- 3 სართ- ფოიე	ფოთი,კონსტიტუციის 54
სამასწავლებლო	301	ფოთი,კონსტიტუციის 54
ბიბლიოთეკა/სამკითხველო	315	ფოთი,კონსტიტუციის 54
საკონფერენციო	314	ფოთი,კონსტიტუციის 54
ქიმიის ლაბორატორია	1 სართ	ფოთი,კონსტიტუციის 54
თევზის გადამუშავების სახელოსნო	1 სართ	ფოთი,კონსტიტუციის 54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედუღების სახელოსნო	ეზოში ცალკე მდგომი შენობა	ფოთი,კონსტიტუციის 54
ავტომობილის ძრავის შეკეთების სახელოსნო	ეზოში ცალკე მდგომი შენობა	ფოთი,კონსტიტუციის 54
ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების სახელოსნო	ეზოში ცალკე მდგომი შენობა	ფოთი,კონსტიტუციის 54
ხის მხატვრული დამუშავების საამქრო	ეზოში ცალკე მდგომი შენობა	ფოთი, კონსტიტუციის 54
სასწავლო ოთახი A გარემო	101, 102, 202, 204, 205-206,	ხობი-ნოჯიხევი
სასწავლო ოთახი B გარემო	207	ხობი-ნოჯიხევი
სასწავლო ოთახი C გარემო	108, 204, 205-206,	ხობი-ნოჯიხევი
ადმინისტრაციული სივრცე	103, 104, 106-107	ხობი-ნოჯიხევი
მედდა	105	ხობი-ნოჯიხევი
სველი წერტილი	ეზოში ცალკე მდგომი შენობა	ხობი-ნოჯიხევი
ადაპტირებული სველი წერტილი	ეზოში ცალკე მდგომი შენობა	ხობი-ნოჯიხევი
სტუდენტების დასასვენებელი სივრცე	2 სართ-1	ხობი-ნოჯიხევი
სამასწავლებლო	107	ხობი-ნოჯიხევი
ბიბლიოთეკა/სამკითხველო	203	ხობი-ნოჯიხევი
საკონფერენციო	201	ხობი-ნოჯიხევი

ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. სსიპ კოლეჯ ,,ფაზისში“ „მატერიალური რესურსების გამოყენების წესის“ შესაბამისად მე-3 მუხლში გაწერილია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობები, რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა, სახელოსნო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დაუბრკოლებლადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის.

   ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული რეგულაცია და განხორციელდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომლებმაც **დაადასტურეს, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის.**

3. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების წარემომადგენლებთან გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ფართებისა დეზინფექცია და დასუფთავება. კოლეჯში ორივე ფართზე აღნიშნულს ახორციელებენ საშტატო ნუსხით გათვალისწინებული დამლაგებლები.

   ავტორიზაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობის თვალსაზრისით, გაესაუბრნენ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს და დაადგინეს, რომ **კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ქ. ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში განთავსებულ კოლეჯის შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, გაზის შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით და კოლეჯის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობითა და მათი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობით. **შესაბამისად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემები.**

5. კოლეჯის დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებულ უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯის ორივე ლოკაციაზე შრომის უსაფრთხოებას. მასთან გასაუბრებითა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, სახანძრო უსაფრთხოება, სანიტარულ-ჰიგიენური წესები, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, შესაბამისად, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას შექმნილია შესაბამისი პირობები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ხორციელდება შესაბამისი საინფორმაციო და ტრენინგ აქტივობები, რომელიც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით, ხელმოწერების ჟურნალებითა და ფოტომტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ **კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

6. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესის“ მე-2 მუხლის ,,კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვა“ ემსახურება ყველა იმ პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, რომლითაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მომარაგება მასალა-ნედლეულით. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით შესაბამისი პირი დირექტორს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალა-ნედლეულის თაობაზე.

   აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება, აღრიცხვა, ხოლო მისი ნარჩენების მართვა კი ხორციელდება სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“,,ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაციის“ საფუძველზე.

   აღნიშნული წესის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა, ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისითვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის მიწოდება. შესაბამისად, ცხადია, რომ **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები**.

7. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესის" მე-4 მუხლის ,,პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია" შესაბამისად კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, გამოყენების პროცესის მართვას, ფინანსურ მენეჯერთან კოორდინაციით, ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი/მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი. ყოველწლიურად ინვენტრიზაციის კომისია ატარებს კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციას; საგანამანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და პროგრამის ხელმძღვანელი.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით", რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხორციელდება კოლეჯის რესურსების შეფასება. შეფასების მეთოდად ხარისხის მართვის სამსახურს გამოყენებული აქვს გამოკითხვის მეთოდი. ისინი ყოველწლიურად ახორციელებენ კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩატარდა გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან, რომელმაც განმარტა რომ გარდა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციისა რესურსების საკმარისობასთან და განვითარებასთან დაკავშირებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს რესურსების რეგულარულ შეფასებას მოდულების მიხედვით და გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების შევსება მათთან კოორდინაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინტერვიების ფარგლებში ასევე პროფესიული სტუდენტებისგან და კურსდამთავრებულებისგან იქნა მიღებული ინფორმაცია მასალა-ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესურსების შეფასების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელსაც ახორციელებს ინვენტარიზაციის კომისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებული ინვენტარიზაციის პროცედურების დაცვით. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით და შესაბამისი რეგულაციის დაცვით ხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა.

აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინტერვიუების ფარგლებში აღინიშნა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს საუდიტორიო მეცადინეობებზე/პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესებზე დასწრებას და ამ პროცესებში გამოყენეული რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და მათ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ერთვება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიმართულებით.

შესაბამისად, **ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯის ქ. ფოთში შენობებში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში შენობასთან ახლოს, ეზოში განთავსებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც უწყვეტად მარაგდება წყლით, აქვს ვენტილაციის საშუალება, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა. კოლეჯის ყველა სველ წერტილში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, განთავსებულია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელის ქაღალდის ხელსახოცების კონტეინერები. კოლეჯის ორივე მისამართზე სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. შესაბამისად, კოლეჯის მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

9. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში ორივე მისამართზე ქ. ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში, კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით. შესაბამისად, კოლეჯის მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

10. კოლეჯის ყველა შენობაში ორივე მისამართზე ქ. ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში, გამოყოფილია განცალკევებული სამუშაო ოთახები ადმინისტრაციული პერსონალისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. სასაწავლო აუდიტორიები კი განლაგებულია ერთმანეთისგან იზოლირებული, სათავსოებისათვის გამოყოფილია შესაბამისი ფართები, საერთო სარგებლობის სივრცეები, საპირფარეშოები, ადმინისტრაციის ოთახები ადვილად ხელმისაწვდომია. საერთო ჯამში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

11. სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი“ ორივე მისამართზე ქ. ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ოთახებში და ისინი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

    ბიბლიოთეკებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია და კოლეჯის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია კოლეჯის ,,ფაზისი“ „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ბიბლიოთეკის წლიური სამუშაო გეგმა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

    ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგები, ჟურნალები, ელექტრონული ვერსიები და დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკარი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ინტერვიუებით დადგინდა, რომ **კოლეჯის პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისდ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის აქტები;
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების ჩამოწერის აქტები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით მატერიალური რესურსების და მასალების შესყიდების დოკუმენტაცია;
- დამლაგებლების და დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის შენობა/ნაგებობების აზომვითი ნახაზები;
- ცენტრალური გათბობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - საგადახდო დავალებები, ქვითრები;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“,,ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია“
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შრომითი ხელშეკრულება და სერტიფიკატი;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების ამსახველი ფოტომტკიცებულება;
- სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია;
- შევსებული ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.
- ინტერვიუები კოლეჯის პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ვიზუალური დათვალიერება.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯმა 2023 წლის 01 მარტს მიმართა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რათა შეფასებული იქნას კოლეჯის შენობებში საქმიანობის განხორციელება უსაფრთხოების საკითხი და მოიპოვოს დასკვნა. დასკვნის გაცემისთვის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 30 დღიანი ვადა აქვს, შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯს არ ჰქონდა დასკვნა. ვიზუალური დათვალიერებით კოლეჯის სასწავლო კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, ბზარების გარეშე, სუფთა და მოწესრიგებული, **თუმცა, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შენობის მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება.**
   2021 წლის 21 ივნისს საგანგებო სიტუაციების მართვისსამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ შემოწმებული იქნა კოლეჯი და შექმნილი იქნა შესაბამისობის აქტი, სადაც შენობა-ნაგებობაზე სახანძრო უსაფრთხოებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისმოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასებაა, კერძოდ, კოლეჯს დაევალა შემდეგი ხარვეზების აღმოფხვრა:1. ცენტრალურ საგანგაშო მართვის პულტის მოწყობა; 2. მეხამრიდების მოწყობა; 3. შენობაში ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება; 4. შენობაში ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემის დამონტაჟება; 5. კოლეჯის შენობაში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, სახანძრო ონკანების მონტაჟით. 6. სახანძრო ჰიდრანტის ან შესაბამისი ტევადობის წყლის რეზერვუარის მოწყობა,სახანძრო მანქანის მისაერთებელი მილყელით (ან სახანძრო მანქანის მიერ წყლისაღების შესაძლებლობით); 7. ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სახანძრო სატუმბი სადგურის მოწყობა.
   აღნიშნულის დაფინანსების მიზნით დაწესებულებამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და მიიღო დაფინანსება, ნაწილი სამუშაოებისა კი შეასრულა საკუთარი სახსრებით. კოლეჯს 2023 წლის 28 თებერვალს გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 43 შპს „ნეოტექთან“, რომლის საგანია ,,მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) სახელმწიფო შესყიდვა“, რომელიც დასრულდა 2023 წლის 16 მარტს და დღეისათვის საჭიროა ამ პროექტებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება, რომელიც კოლეჯს არ აქვს დასრულებული.
   კოლეჯში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის კოლეჯში შრომის, ჯანმრთელობის, სახანძრო და საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხოების დაცვის ორგანიზება, ტრენინგების ჩატარება და სხვა აქტივობები. იგი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიხედვით არის სერტიფიცირებული პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში დადგენილი იქნა, რომ 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში და კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შპს "ნეოტეკის" მიერ, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება (CPV კოდი 71320000) მეხამრიდებისა და სახანძრო სიგნალიზაციის - ხანძარქრობის სისტემის მოწყობითი სამუშაოებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკაში“. კოლეჯში მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, ხოლო საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შესაბამისი კომპეტენციის მედდა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, მედდის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობა, ვიზუალურად იქნა დათვალიერებული პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით სსიპ კოლეჯში ,,ფაზისი“ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. დაწესებულების დირექტორმა 2023 წლის 27 თებერვალს N231066 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს კოლეჯის ორივე ლოკაციისთვის საგანგებო მართვის გეგმის შესათანხმებლად, რომელიც შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმას“ და რომლის შეთანხმებაც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. რაც შეეხება, კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა, რომ 5.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის შესაბამისობაში და დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომლის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" (ფოთისა და ხობის ლოკაციებისათვის) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. კოლეჯში მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა, რომლის მიზნით დაწესებულებას ორივე მისამართზე ჰყავს საშტატო ერთეულებით გათვალისწინებული დარაჯები. კოლეჯის ყველა შენობა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ინფორმაციის შენახვის ფუნქციის მქონე სათვალთვალო 93 კამერით. თუმცა, დაწესებულებას არცერთი საშტატო ერთეულის ფუნქციებში არა აქვს განსაზღვრული ვიდეოსათვალთვალო კამერებზე პასხისმგებელი პირი, როგორც მისი დაზიანების (ტექნიკური მხარე), ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ამოღების (პროგრამული მხარე) ჭრილში.

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის სრული დაცვით, რასაც ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები, რეესტრში ასახული მონაცემები, სასწავლო ცხრილები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. **ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“-ს აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგია“, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ექსპერტთა მიერ მოხდა აღნიშნული პრაქტიკის გადამოწმება და დადასტურდა, რომ კოლეჯი იცავს საკუთარი მარეგულირებელ წესებს. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ კოლეჯში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით, თუმცა გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შემდეგ კომპანიასთან: შპს „კომპლექს 99“ -თან. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას რაიმე განსაკუთრებული უსაფრთოების წესების დაცვას, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ავალდებულებს მასწავლებელს აწარმოოს უსაფრთხოების ინსტუქტაჟის ჟურნალი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო ცხრილები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში“. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, მტკიცებულებების მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.

   აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.**

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა მასში არაა სრულყოფილად გაწერილი, ვერიფიკაციის ჯგუფის შესაძლო შემადგენლობა, პროცედურა, წინასწარ შემუშავებული რისკები, ფორმები. ხარისხის მართვის მენეჯერს ასევე არ აღმოაჩნდა ვერიფიკაციის წლიური გეგმა, თუმცა წარმოადგინა შესრულებული ვერიფიკაციის დოკუმენტები, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯში ხორციელდება ვერიფიკაცია. გარდა ამისა, ვერიფიკაციის განხორციელების მტკიცებულებათა შესწავლითა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტიც, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობა როგორც ვალიდაციის, ისე ვერიფიკაციის პროცესშიც. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, დასკვნის პროექტში დაფიქსირდა, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის სრულყოფილად და ნათლად გაწერილი და მისი შემსრულების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება: შეფასების სისტემის (ვერიფიკაციის) გადახედვა, ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის განსაზაღვრა, ვერიფიკაციის პროცედურების, რისკებისა და ფორმების შემუშავება, ვერიფიკაციის წლიური გეგმის შემუშავება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირთა განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით.**

   ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის “ შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად.
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა ახალია, შესაბამისად აღნიშნული წესის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, თუმცა, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების სტატისტიკური მონაცემების შეფასება და ანალიზი წესის მიხედვით ხორციელდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.) და შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- ,, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა“;
- ვერიფიკაციის წესი;
- ვერიფიკაციის მტკიცებულებები;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ შესაბამისობის გეგმა;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტროობა

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	2017 წლის 27 მარტის №01/28 ბრძანებით ცვლილება: ბრძანება N 01/117 25.10.2022 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ნოჯიხევი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ელექტროობა

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ელექტროობა

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ელექტროობა”, რომელიც შემუშავებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს რეგიონში პროფესიული კადრების საჭიროებიდან, დაწესებულების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კოლეჯი მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებლებთან და ასევე, მათ აქვთ ,,ელექტროობის“ პროგრამის სწავლების გამოცდილებაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, რომელშიც გაცხადებულია, რომ იგი მრავალპროფილურია და ორიენტირებულია რეგიონის კვალიფიციური კადრებით მომარაგებაზე. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ელექტროობა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**
3. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ელექტროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით განსაზღვრულს, რომლის მიხედვით დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და სპეციფიკას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციების შესაძლებლობები და სხვ. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებას მიღებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ელექტროობა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 26 ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში სწავლებისთვის და ავტორიზაციის ექსპერტთა გადამოწმებით დასტურდება, რომ **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ განხორციელებისთვის **საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ მოიცავს ერთ არჩევით მოდულს ,,რუსული ენა“ 4 კრედიტის მოცულობით, რომელიც გამომდინარეობს რეგიონში სამუშაოზე რუსული ენის ცოდნის საჭიროებიდან გამომდინარე. **შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდული პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 27 მარტის №01/28 ბრძანებით,(ცვლილება: ბრძანება N 01/117 25.10.2022 წ.), **რომლის უფლებამოსილება დასტურდება სსიპ კოლეჯ ,,ფაზისის“ წესდების თანახმად.**
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ელექტროობა“ **შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ,,ელექტროობა“ საფუძველზე, პროგრამა მოიცავს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს და ერთ არჩევით მოდულს, სულ 56 კრედიტის მოცულობით, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია http://www.phazisi. edu.ge/;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წ.წ.;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა'' განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი.

ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A/C და B გარემოები, რომელშიც განთავსდება 13-13 პროფესიული სტუდენტი. A და C გარემოსთვის გათვალლისწინებულია ერთი საერთო სივრცე, გარემო აღჭურვილია 13 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამით, 1 პროფესიული მასწავლებლის მაგიდა/ სკამით, მასწავლებლისთვის კომპიუტერი და პროექტორით სადემონსტრაციოთ; B გარემო აღჭურვილია 13 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემოში ელექტროობისთვის განთავსებულია აღჭურვილობა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით კვების ბლოკი ცვლადი და მუდმივი დენისთვის, ვოლტმერი ცვლადი და მუდმივი დენისთვის, ამპერმეტრი ციფრული, სიხშირმზომი, ლაბორატორიული რეოსტატი და ასე შემდეგ, ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სიის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ ფარგლებში გათვალისწინებულია მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში იგეგმება სასწავლო ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტებზე, სადაც პროფესიული სტუდენტი გაეცნობა მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და სპეციფიკას. კოლეჯს გაფორმებული აქვს 15 პროფესიული სტუდენტისთვის გაცნობითი პრაქტიკს ფარგლებში სასწავლო ექსკურსია/ექსკურსიების უზრუნველყოფისთვის მემორანდუმები/ხელშეკრულებები 3 კომპანიასთან.

15-02-2019 წელი. შემდეგ ცვლილება 01-03-2021წელი ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ მემორანდუმი.

მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოთ. მხარეები თანხმდებიან, მემორანდუმის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ (15) პროფესიული სტუდენტისთვის აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას და მათთვის მომავალი პროფესიის რეალურ გარემოში აღქმას. **შპს „მოულდს ენდ მეტალ ჯორჯია“ N 02-08-2018 - 04-03-2021 წელი მემორანდუმი.** მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადით. ხელშეკრულება თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ (15) პროფესიული სტუდენტისთვის აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას და მათთვის მომავალი პროფესიის რეალურ გარემოში აღქმას.

შპს „შარა-გზამშენი პირველი“ მემორანდუმი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამას ,,ელექტროობა" სულ ახორციელებს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიული და დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 8 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. **ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით, რომელსაც ახორციელებენ გარკვეული პერიოდულობით". ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმაც დაადასტურეს ინტერვიურებისას, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს კოლეჯის ორგანიზებით ჩაუტარდათ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ შიდა ტრენინგები.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. სსიპ კოლეჯის „ფაზისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესის" მე-4 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი/კოლეჯის წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი კომპეტენციით, მისი კვალიფიკაცია ან/და სწავლების გამოცდილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს“. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კომპეტენტური პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია.**

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

   საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

   ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შესაბამის მუხლებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ აქვს შშმ პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებთან ადაპტირებული გარემო, მათ შორის, სველი წერტილები და პანდუსები. სასწავლო რესურსი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, ვინაიდან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, განხორციელებისთვის კი კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებში შეყვანილია პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალების ღირებულებას, არსებობის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები (სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა). პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს, პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 13 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი გათვლილია 13 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფისთვის. ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის რენტაბელურობას და ფინანსურ მდგრადობას.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და ამასთან, კოლეჯში მოქმედებს „პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების და გაუქმების წესი“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაწესებულება პროგრამის შეფასებისთვის იყენებს კითხვარებს: მოლოდინების შეფასებისთვის, პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მასწავლებლის შეფასებისთვის, პროფესიული მასწავლებლის მიერ მოდულის შეფასებისთვის, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისთვის;

   კოლეჯი პროგრამის განვითარებისთვის იყენებს კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკურ მაჩვენებლებს და მათი ანალიზის შედეგებს.

   ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.
2. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი დაამუშავებენ კვლევის შედეგებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ ცვლილებებს. აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება მისი განვითარების მიზნით არ მომხდარა. თუმცა, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალს აქვს მზაობა იზრუნონ საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები ექსპერტთა მოსაზრებით დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი“;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- კითხვარები და კვლევის შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის სრული დაცვით, რასაც ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები, რეესტრში ასახული მონაცემები, სასწავლო ცხრილები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. **ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, სასწავლო პროცესი, დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე „ელექტროობა“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. პროგრამა „ელექტროობა“-ს აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით „ელექტროობა“, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ექსპერტთა მიერ მოხდა აღნიშნული პრაქტიკის გადამოწმება და დადასტურდა, რომ კოლეჯი იცავს საკუთარი მარეგულირებელ წესებს. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ კოლეჯში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია კოლეჯის ბაზაზე არსებული C გარემოს გამოყენებით, თუმცა გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შემდეგ 3 კომპანიასთან, ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“; შპს „მოულდს ენდ მეტალ ჯორჯია“ და შპს „შარა-გზამშენი პირველი“ რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით/ხელშეკრულებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
6. სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო C გარემოში, სადაც თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და დამშვები ნიშნები. სამუშაო სტენდი დამიწებულია. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული განათლების მასწავლებელია, იგი პროფესიულ სტუდენტებს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების წესებში და ადასტურებს ჟურნალში მათი ხელმოწერით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს C გარემო და გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ამავდროულად ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო ცხრილები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში“. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, ვალიდაცია, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტების ინფორმირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება, მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოპოვების, შენახვის და განკარგვის წესი. წესს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია შეფასებების ფორმები, ჩექლისტები, კითხვარები.

აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა მასში არაა სრულყოფილად გაწერილი, ვერიფიკაციის ჯგუფის შესაძლო შემადგენლობა, პროცედურა, წინასწარ შემუშავებული რისკები, ფორმები. ხარისხის მართვის მენეჯერს ასევე არ აღმოაჩნდა ვერიფიკაციის წლიური გეგმა, თუმცა წარმოადგინა შესრულებული ვერიფიკაციის დოკუმენტები, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯში ხორციელდება ვერიფიკაცია. გარდა ამისა, ვერიფიკაციის განხორციელების მტკიცებულებათა შესწავლითა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტიც, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობა როგორც ვალიდაციის, ისე ვერიფიკაციის პროცესშიც. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, დასკნის პროექტში დაფიქსირდა, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის სრულყოფილად და ნათლად გაწერილი და მისი შემსრულების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის გეგმა და 6 თვის განმავლობაში განხორციელდება: შეფასების სისტემის (ვერიფიკაციის) გადახედვა, ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის განსაზაღვრა, ვერიფიკაციის პროცედურების, რისკებისა და ფორმების შემუშავება, ვერიფიკაციის წლიური გეგმის შემუშავება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირთა განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით გაწერილი ვადებისა და რესურსების რელევანტურობის დადგენის მიზნით და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი გეგმა შესრულებადია 6 თვემდე ვადაში და ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის " შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად.
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამა ახალია, შესაბამისად აღნიშნული წესის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, თუმცა, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების სტატისტიკური მონაცემების შეფასება და ანალიზი წესის მიხედვით ხორციელდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.) და შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა";
- ,, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა";
- ვერიფიკაციის წესი;
- ვერიფიკაციის მტკიცებულებები;
- სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" შესაბამისობის გეგმა;
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.05.2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: